

# თბილისის მერია VS სასტუმრო „ბუდაპეშტის“ მფლობელი– დაპირისპირება გრძელდება



თბილისის მერი კახა კადაძე ვიცე-მერ ირაკლი ხმარაძესთან და მერის მოადგილე მაია ბითაძესთან ერთად სასტუმრო „ბუდაპეშტის“ მფლობელს შეხვდა.

ირაკლი ხმარაძემ განმარტებით, ამ ეტაპზე, მხარეებს შორის შეთანხმება ვერ შედგა, თუმცა დედაქალაქის მთავრობა მის ხელთ არსებულ ყველა სამართლებრივ ბერკეტს გამოიყენებს, რათა ვაკის პარკში 30-მეტრიანი სასტუმროს მშენებლობა არ მოხდეს.

*„სასამართლოში ორი ბრძანება იყო გასაჩივრებული – ერთი უვადო სპეცნებართვა, ყოფილი მერის, გიგი უგუდავას მიერ 2013 წელს გაცემული. ამის საფუძველზე გაცემული იყო უშუალოდ მშენებლობის ნებართვა, ვადიანი, რომელსაც ვადა ამოეწურა. სასტუმრო „ბუდაპეშტის“ მფლობელი აცხადებს, რომ ხელთ აქვს უვადო სპეცნებართვა და მის საფუძველზე, მშენებლობის ნებართვა ეკუთვნის მაშინ, როგორც კი ამას მოითხოვს. ავტომატურ რეჟიმში ამის კუთვნილება აღბათ, არ იქნება სწორი, მაგრამ გარკვეული პროცედურის საფუძველზე ამ ნებართვის გაცემის რეჟიმში მერია აუცილებლად ჩავარდება, თუ ეს კომპანია მოგვმართავს. ნებართვას ვადა გაუვიდა, მაგრამ ეს დოკუმენტი რის საფუძველზეც გაიცა, არის სპეციალური აქტი, რომელიც 2013 წელს იმდროინდელმა მერმა გამოსცა. ეს არის უვადო აქტი, რომელიც დღეს ძალაშია და ამ ადამიანს ხელში უჭირავს. ამის საფუძველზე მას მშენებლობის*

*მოთხოვნის უფლება აქვს. ეს არის საკმაოდ მძიმე მდგომარეობა, რომელიც მერიას შეექმნა. ჩვენ ყვედანაირად ვცდილობთ, რომ ეს არ დავუშვათ“, – განაცხადა ირაკლი ხმარაძემ.*

მისივე თქმით, ვაკის პარკში მსგავსი მასშტაბის სასტუმროს აშენების ნებართვის გაცემა დედაქალაქის მერიისთვის კატეგორიულად მიუღებელია.

*„ჩვენ განვიხილავთ ყველა შესაძლო ალტერნატივას, მაგრამ ჯერჯერობით, შეთანხმებას ვერ მივაღწიეთ, ვინაიდან ის არც ადგირმონაცვრელობას თანხმდება და არც პარამეტრების შემცირებას. ის თავის თავს საკმაოდ მყარად მიიჩნევს, ვინაიდან, ხერში სასამართლოგამოვდირი, ძალაში მყოფი სპეციალური ნებართვა უჭირავს, რომელიც 2013 წელს გაიცა. ეს ადამიანი პოზიციებს არ თმობს და ამ ეტაპზე, შეთანხმება ჯერჯერობით არ არის მიღწეული, მაგრამ შემოდრია კიდევ ერთხელ დაგიდასტუროთ, რომ არ დავუშვებთ, ყველაფერს გავაკეთებთ, რათა ვაკის პარკში 30-მეტრიანი სასტუმრო არ აშენდეს“, – აღნიშნა თბილისის ვიცე-მერმა.*

მისივე თქმით, მერია ყოველთვის ქალაქის ინტერესებიდან გამომდინარე, უსამართლოდ არასდროს იქცევა და კანონს არ არღვევს, თუმცა ყვედანაირ ბერკეტს გამოიყენებს, რათა კერძო მესაკუთრისა და მოქალაქეების სამართლებრივი ინტერესები დააბაღანსოს. ✘

*„ვაკის პარკი ქალაქში ერთადერთი უნიკალური ადგილია და მის გაუბედურებას ჩვენ ხელს ვერ შევუწყოთ, თუნდაც ეს საკმაოდ ძვირი მონაცვრეობის ფასად დაგვიჯდეს. ჩვენ არ ვაპირებთ, რომ კანონს გადავახტეთ და მესაკუთრის უფლებები შევდახლოთ, ამიტომაც ვართ მორაპარაკების რეჟიმში. გავაგრძელებთ სასტუმროს მეპატრონესთან კონსულტაციას და შევეცდებით, რაიმე სხვა პირობაზე დავიყოლიოთ“, – განაცხადა ირაკლი ხმარაძემ.*

**თავის მხრივ სასტუმრო „ბუდაპეშტის“ მფლობელ გიორგი ზაქაიძე** აცხადებს, რომ თუ მერია დროულად არ გასცემს სასტუმროს მშენებლობის ნებართვას, ზარადის ანაზღაურების მოთხოვნით სასამართლოს მიმართავს.

„ნარმანიას შემდეგ იგივეს აკეთებენ ესენიც. არ აქვთ არანაირი უფლება, რომ მშენებლობის ნებართვა არ გაგვიგრძელონ. ჩვენმა კომპანიამ იყიდა მიწა მშენებლობის ნებართვით. 2013 წელს პროექტი შევიძინეთ, სასამართლოს მიერ აღდგენილი განჩინებით გვაქვს მშენებლობის ნებართვა თავისი სპეც-ნებართვით და მერისას აქვს დავადებული, რომ აღგვიდგინოს. მშენებლობის ნებართვის გაცემას სჭირდება ერთი სამუშაო დღე.

აპედირებენ, თითქოს ტექნიკური შეფერხებაა. თუ არ შეასრულებენ ვადებულუბას, მივმართავთ სასამართლოს ბიანის მიმართულებით. მარადი საკმაოდ დიდი გვაქვს მიღებული. თანხები, რომელიც ინვესტორისთვის უნდა გადაგვხადა, ყოველდღიურად იბრდება. ნაცვლად იმისა, რომ დროულად მოვირაპრაკოთ და ბიანზე არ ვუჩივროთ, გვედაპარაკებიან, რომ ავაშენოთ რაღაც რესტორანი რომელიც ადრე იყო ვაკის პარკში ან გავცვაროთ მიწის ნაკვეთი. ჩვენ არც რესტორნის მშენებლობის და არც მიწის გაცვრის სურვილი არ გვაქვს. სასამართლო მოვიგეთ და კიდევ იგივეზე გვინევს საუბარი”, -აცხადებს გიორგი ბაქაიძე.

სასტუმროს 2013 წელს თბილისის მაშინდელი მერის, გიგი უგუდავას დროს ვაკის პარკის ტერიტორიაზე მოპოვებული აქვს მშენებლობის უფლება. ინვესტორს ადგილზე მრავალსართულიანი სასტუმრო უნდა აეშენებინა. ნებართვის გაუქმების მიზნით, დავა სასამართლოს სამივე ინსტანციაში მიმდინარეობდა, რომელიც ბოლოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით დასრულდა.

სასამართლომ არ დააკმაყოფილა „მწვანე აღტერნატივის“ საჩივარი 2013 წელს გაცემული მშენებლობის ნებართვის გაუქმების შესახებ. უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების მიუხედავად, თბილისის მერია სასტუმრო „ბუდაპეშტის“ დამფუძნებელთან მოლაპარაკებას ცდილობს. აღტერნატივის სახით მერია ინვესტორს ადგილზე ძველი რესტორნის აღდგენას ან მიწის ნაკვეთის ადგილმონაცვრეობას სთავაზობს.